მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №5
2023 წლის 28 თებერვალი

დაბა მესტია

,,მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №16 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნების წესისა და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის დამტკიცების შესახებ” მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 თებერვლის №16 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 05.03.2018 სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.103.016279) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყლიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2.

დანართი №2-ით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა არ არის ამომწურავი და არ ათავისუფლებს მესტიის მუნიციპალიტეტის საჯარო დაწესებულებებს კანონმდებლობითა და საქართველოს მთავრობის სტანდარტით განსაზღვრული სხვა საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულებისგან.“

2. დადგენილებას დაემატოს მუხლი 2^1 და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 2^1.

დანართი №2-ით განსაზღვრული პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხის გარდა გამოქვეყნებას ექვემდებარება საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი ინფორმაცია, რომლის შესახებაც წლის განმავლობაში საჯარო დაწესებულებას მოთხოვნით მიმართა 5(ხუთმა) და მეტმა განმცხადებელმა.“.

3. დადგენილებით დამტკიცებულ №1 დანართის მეორე მუხლს,დაემატოს მე-5 პუნქტი და მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რეაქციით:

„5. საჯარო დაწესებულების თანამდებობის პირის მიერ ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით განისაზღვრება პირები, რომლებიც ვალდებული არიან პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია მიაწოდონ ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მესტიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **მაიზერ ჯაფარიძე**